პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N.....

30 მარტი, 2022 წელი

მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის
აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის N016016/18 წერილობითი მომართვით წარმოდგენილი მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 139-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 140-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.

(მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში მოწონებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის მიზნით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ადმინისტრაციულ დანახარჯებს და დაწესებულებების მართვას უფრო ეფექტიანს ხდის.

მუხლი 3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებულ ზემოხსენებულ ანგარიშში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების მიერ გაგრძელდეს გაწეული საქმიანობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშების განხილვის პრაქტიკა;

2. ანგარიშების ფორმალურად წარმოდგენის გამორიცხვის მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ, ყურადღება მიექცეს გაწეული საქმიანობის თაობაზე შედგენილ ანგარიშებში ფინანსური რესურსების ხარჯვის დასაბუთების, მიმდინარე პერიოდში წარმოქმნილი პრობლემების, დაგეგმილი მაჩვენებლების, პროგრამებისა და დავალებების შეუსრულებლობის მიზეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასახული ამოცანების შესრულების მდგომარეობისა და მიღწეული შედეგების ასახვას;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის პროცესში იხელმძღვანელოს

ხარჯთეფექტურობის პრინციპებიდან გამომდინარე; შესაბამისი პირველადი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, შეისწავლოს ამ დაწესებულებათა საკადრო პოლიტიკა, განახორციელოს დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებისა და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზი, შეაფასოს იდენტური ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულების არსებობის მიზანშეწონილობა და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია; შეისწავლოს და შეაფასოს ინფრასტრუქტურულ-კომუნალურ სფეროში მუნიციპალური სერვისების განხორციელების სხვადასხვა ალტერნატივა (მომსახურების შესყიდვა, სუბსიდირება) და განსაზღვროს ოპტიმალური მიდგომა მომსახურების მისაღებად;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე წლიური ანგარიშის წარმოდგენისას, ინფორმაცია გააკეთოს ზემოაღნიშნული მიზნით გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დააწესოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ცაგური პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის სამდივნო განყოფილების ხელმძღვანელი-
სამდივნო განყოფილების უფროსი

ნიკოლოზ ჩიხლაძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ივანე ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია